

2023-2024 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

შესრულების მონიტორინგი/შუალედური ანგარიში

ქ. თბილისი

07 თებერვალი, 2024 წელი

2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი შუალედური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, თუ რა აქტივობებია დღეისათვის შესრულებული ან შესრულების პროცესში, რომელი მათგანი ვერ შესრულდა გეგმით გაწერილი დროის მიხედვით და რა შედეგები გამოვლინდა; ამ მიზნით, ძირითადად აქტივობათა შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს მათ მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულების შესახებ ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე ანგარიშები, მტკიცებულებებზე მითითებით, რომლის ფარგლებში გამოვლინდა რიგი აქტივობები, რომლებიც შესრულების პროცესშია, შესრულდა ან ჯერ გრაფიკიდან გამომდინარე არ დაწყებულა შესრულება.

დასაქმების ბაზარზე ახალი მოთხოვნების გამოვლენის ფარგლებში გაწერილი აქტივობებისათვის - ადმინისტრაციის წევრთა მიერ მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება და დაკვირვება, თუ რა ახალი ჩარჩო დოკუმენტები შემუშავდება პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ და დამტკიცდება, ამ დროისათვის არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იგეგმება ისეთი ახალი პროფესიული პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცება, რომლებიც მისაღები იქნება, უმეტესწილად პროფილური კუთხით, კოლეჯისათვის, რათა სამომავლოდ მოხდეს ამ პროგრამების დამატება. ჩვენს დაწესებულებაში არსებული პროგრამები კი კვლავაც აქტუალურია, რაზეც მეტყველებს ამ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა და დაინტერესებულ პირთა მომართვიანობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მიმართულებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში როგორც პროფესიულ სტუდენტთა, ისე მასწავლებელთა და პრაქტიკის ობიექტთა ჩართულობა მაღალია, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის კითხვარების დაგზავნა, ინტერვიუება და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება პროგრამათა შემდგომი განვითარების მიზნით. გასული სასწავლო წლის ბოლოს მოხდა რეაქტორიზაციის ფარგლებში ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვლავ დამატება, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სტანდარტებთან შესაბამისი

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება სტუდენტთა გაზრდილი ქვოტით. პროგრამათა კატალოგი ყოველი ცვლილების შემდგომ მუდმივად ახლდება და საბოლოო სახით გაზიარებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

პროფესიული საგანმანათლებლო სპექტრის გაფართოების მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვოტის გაზრდილი ოდენობით მოხდა საექთნო განათლების პროგრამის დამატება (80-ის ნაცლად 100), რაც შეეხება ახალი პროგრამების დამატებას, ამაზეც დასაწყისში ვისაუბრე და კვლავ გავუსვამ ხაზს, რომ ამ დროისათვის მიმდინარეობს მასიურად არსებული ჩარჩო დოკუმენტების განახლება და ახლების დამტკიცება, ყოველივე ეს პროცესშია, დაწესებულება გამოთქვამს მზაობას დაიმატოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, მით უფრო იმ ფონზე, რომ ამის საჭიროება გამოვლენილია კოლეჯის მდგრადობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით.

დეალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით ამ ეტაპისათვის არ იგეგმება ამ მიმართულებით პროგრამათა დამატება, ვინაიდან პრიორიტეტულად განისაზღვრა კოლეჯის მიერ ახალი, კოოპერაციული სწავლების ფარგლებში არსებული პროგრამების დამატება.

სწავლა/სწავლების არსებული მეთოდების გაუმჯობესების მიზნით - კოლეჯის მიერ შემუშავდა პრაქტიკის ჟურნალის ფორმა, რომელსაც გამოიყენებენ სტუდენტები როგორც ფარმაციის, აგრეთვე საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული სწავლების დროს. მოხდა ადმინისტრაციის წევრთა მიერ ამ ფორმის გაცნობა როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, აგრეთვე სტუდენტთათვის. აღსანიშნავია, რომ საექთნო განათლების პროგრამის დამატების დროს შემუშავებულმა ფორმამ მოწონება დაიმსახურა ექსპერტთა ჯგუფის მიერ აამვე პროგრამის დამატებისას. როგორც ადმინისტრაციის წევრები თავიანთ ანგარიშებში აღნიშნავენ, სამომავლოდ იგეგმება სხვადასხვა აქტივობების გახორციელება ამ მიმართულებით, რათა უფრო მეტი ოდენობით მოხდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნით სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით. პირადად განვახორციელე სხვადასხვა მოდულის სწავლების ფარგლებში დასწრება როგორც სალექციო მეცადინეობის დროს, აგრეთვე შეფასებისას, მასწავლებელთა ზოგიერთი ნაწილი იყენებს სხვადასხვა მეთოდს სალექციო მასალის ახსნისას, ხოლო მცირე შემთხვევაში გავეცე რეკომენდაცია მეტი ჩართულობისა და სტუდენტთა აქტივობის გათვალისწინებით გამოიყენებული იყოს მასწავლებელთა მიერ სწავლების სხვადასხვა მიდგომები, თანამედროვე მეთოდები და არა მხოლოდ მონოტონურ რეჟიმში ლექციის ახსნა-პასუხი.

გაიზარდა რაოდენობა კოლეჯში დასაქმებული პირებისა, მდგრადობის გათვალისწინებით, დავიმატეთ პრაქტიკული სწავლებისათვის ახალი ობიექტი და

შესაბამისად, განმახორციელებელი პირები, მოდულის - სამედიცინო ფიზიკის ფარგლებში მოხდა ახალი პროფესიული მასწავლებლის დამატება. საერთო ჯამში, დაწესებულებაში შენარჩუნებულია მდგრადობა ადამიანური რესურსების მიმართულებით, თითოეულ თეორიულ მოდულზე განმახორციელებელ პირად შერჩეულია მინიმუმ ორი ადამიანი; პრაქტიკულზე საექთნო განათლების კუთხით 7 სტუდენტზე მინიმუმ 1 განმახორციელებელი პირი მოდის. ახალ თანამშრომლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები და მოწესრიგებულია მათი პირადი საქმეები. რაც შეეხება ადამიანური რესურსის მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას - კოლეჯს ამ მიმართულებით კვლავაც გასაუმჯობესებელი აქვს საქმიანობა და მეტი ღონისძიებებია დასაგეგმი, თუმცა ამ მდგომარეობით დაწესებულებაში დასაქმებული პირები მუდმივად ღებულობენ მონაწილეობას გარე წყაროებიდან დაგეგმილ აქტივობებში, რაც შეეხება კოლეჯის ხარჯით განხორციელებულს - შესაბამისი პირების მითითებით სასწავლო წლის ბოლომდე იგეგმება სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვისაც, ვინაიდან მიღებული უკუკავშირით, გამოკითხვების შედეგადაც ფიქსირდება რომ მუდმივად მზადყოფნას გამოთქვამენ სხვადასხვა ტრენინგებით აიმაღლონ კვალიფიკაცია, ჩაერთონ მსგავს პროცესში და ფეხი აუწიონ სიახლეებს. კოლეჯში განხორციელდა მიმდინარე სასწავლო წლის ოქტომბრის თვეში პერსონალის შეფასება, რომელზე დაყრდნობითაც საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ გაკეთებულია შესაბამისი ანალიზი.

ინფორმაციული საკომუნიკაციო არხების შექმნისა და მუდმივი განახლების ფარგლებში დაწესებულების ვებ-გვერდი მუდმივად განახლებულია, იტვირთება კოლეჯში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია, დოკუმენტაციაში ცვლილებების გატარების შემდგომ საიტზე განთავსებულია განახლებული ვერსიები, სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია იდება კოლეჯის ფეისბუქ გვერდზეც. სასწავლო წლის დასაწყისში ახალი პროფესიული სტუდენტებისათვის მოხდა საჭირო საკომუნიკაციო არხების გაცნობა, მათთან მარტივად საკომუნიკაციოდ კი messenger ჯგუფების გაკეთება, სადაც ხდება საჭირო ინფორმაციის, სიახლის, სასწავლო რესურსის მარტივად გაზიარება. კოლეჯისაგან შექმნილია დახურული ჯგუფი, სადაც გაწევრიანებული არიან როგორც აქტიური სტუდენტები, აგრეთვე კურსდამთავრებულები, რომლებსაც აქედან ეგზავნებათ არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდიან პარტნიორი (და არა მხოლოდ) ორგანიზაციები.

სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის განახლების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, პროფ. სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინებით ამოცანის შესრულების მხრივ მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მათი გამოკითხვა და მათგან უკუკავშირის მიღება. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით დასაგეგმია ღონისძიებები. ამ დროისათვის არ ჩატარებულა სტუდენტთა მიმართ რაიმე სახის მასშტაბური ღონისძიება, განხორციელდა გასვლითი სასწავლო

და ამასთანავე, შეიძლება ითქვას, განსატვირთი გავლითი შეხვედრა ფარმაციის სტუდენტებისათვის „გარდენია“-ში. ახალი კურსდამთავრებულებისათვის მოეწყო დიპლომების გადაცემის ცერემონიალი, რომლის ფარგლებში სტუდენტები წარმოდგენილი იყვნენ მანტიებით. პროფ. სტუდენტებისთვის ექსტრაკურსულარული აქტივობები უფრო მეტად განსავითარებელია, კარიერული წინსვლის ხელშესაწყობად, კურსდამთავრებულთათვის მუდმივად ხდება ახალი ვაკანტური ადგილების გაზიარება,

საბიბლიოთეკო ფონდი ამ ეტაპისთვის არ განახლებულა, ვინაიდან შევსებული იყო არსებული პროგრამების ფარგლებში საჭირო სასწავლო რესურსით.

პროფორიენტაციის მექანიზმების განვითარების და აბიტურიენტთა მოზიდვის მექანიზმების შექმნის მიზნით გავლითი შეხვედრები, ასევე საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოების მიზნით აქტივობები ამ ეტაპისთვის არ განხორციელებულა. ქვეყნის ფარგლებში კი გაფართოვდა შიდა სპექტრი, მაგალითად, გაიზარდა პრაქტიკის ობიექტთა რაოდენობა საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში.

კოლეჯმა სასწავლო წლის დასაწყისში, მანამდე განხორციელებული სარეკლამო კამპანიის შედეგად ფარმაციის პროგრამაზე სრულად შეავსო ქვოტა, ხოლო ვინაიდან საექთნო განათლების პროგრამის დამატება შემდგომ პერიოდში მოხდა, სხვადასხვა კოლეჯიდან გადმოვიდნენ პროფესიული სტუდენტები, ვინაიდან მაღალი იყო სურვილი ჩვენს დაწესებულებაში სწავლისა.

საერთო ჯამში, ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებიდან ნაწილი შესრულებულია, ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ და სამომავლოდ იგივე მიმართულებით კვლავ იგეგმება ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. არსებობს ამოცანები, რომლებიც არ შესრულებულა, ვიმედოვნებ, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გეგმით გაწერილი ყველა ამოცანა იქნება შესრულებული ადმინისტრაციის პირთა მიერ მათი მონდომებისა და სამუშაოების გაძლიერების, მეტი აქტიურობის შედეგად, მით უფრო იმ ფონზე, რომ დაწესებულებამ გაიარა რეავტორიზაციის პროცესი, შემდგომ საექთნო განათლების პროგრამის დამატებისა და ბოლოს, რეავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების და შესაბამისობის გეგმებით გაწერილი აქტივობების შესრულების შემოწმების მიზნით მონიტორინგი და ამ ეტაპზე იმყოფება დასკვნის პროექტის მოლოდინის რეჟიმში.